საარჩევნო რეფორმები პოსტ-კომუნისტურ ქვეყნებში
ბულგარეთის და საქართველოს მაგალითი

რობერტ ზარდიაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: პოლიტიკის მეცნიერებები, საერთაშორისო ურთიერთობები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით დარჩიაშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც, ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

რობერტ ზარდიაშვილი

22.06.2018

მადლობა

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ჩემი ნაშრომის აკადემიურ ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსისტეტის სრულ პროფესორს, ბატონ დავით დარჩიაშვილს. ბატონი დავითი აქტიურად იყო ჩართული თემის მომზადების პროცესში, მაძლევდა საჭირო და სასარგებლო რჩევებს, მაწვდიდა თემისთვის შესაფერის ინფორმაციასა და ლიტერატურას, რამაც საშუალება მომცა დასრულებული სახე მიმეცა ჩემი სამაგისტრო ნაშრომისთვის.

აბსტრაქტი

ჩემი სამაგისტრო ნაშრომის თემა არის-საარჩევნო რეფორმები პოსტ-კომუნისტურ ქვეყნებში. კვლევის ფარგლებში განვიხილავ ბულგარეთის და საქართველოს საარჩევნო სისტემებს, ვცდილობ ავხსნა თუ რატომ მოხდა კომუნიზმის დამხობის შემდეგ თითოეულ ქვეყანაში სხვადასხვა საარჩევნო სისტემის არჩევა (იგულისხმება შერეული და პროპორციული სიითი წარმომადგენლობის საარჩევნო სისტემები). ნაშრომის მთავარ მიზანს წარმოადგენს, იმ მიზეზების ახსნა, თუ აღნიშნულ ქვეყნებში კომუნიზმის დამხობის შემდეგ განხორციელებულ პირველი რაუნდის (ეტაპის) საარჩევნო სისტემის რეფორმირების დროს რა ფაქტორებმა განაპირობა განსხვავებული სააარჩევნო სისტემის არჩევა. მოცემული ქვეყნების შედარებითი ანალიზი ნაშრომში იმიტომ მაქვს განხილული, რომ ორივე ქვეყანა არის ყოფილი კომუნისტური, ორივე მათგანი საბჭოთა პერიოდში იყენებდა ერთიდაიგივე საბჭოთა სისტემაზე მორგებულ საარჩევნო სისტემას, ორივე ქვეყანას აერთიანებს კომუნისტური წარსული, კომუნიზმის დამხობის შემდეგ განხორციელებული ძირეული ან ნაკლებად ძირეული საარჩევნო სისტემის რეფორმა და ორივე შემთხვევაში არის 1990-92 წლების პერიოდში 2-ჯერ ჩატარებული დამოუკიდებელი არჩევნები.

ნაშრომში დასმული ჰიპოთეზა ეყრდნობა ჯონ გრუმისა და ჯოზეფ კოლომერის თეორიებს, რომელთა მიხედვითაც ერთის მხრივ პარტიის სისტემა განსაზღვრავს შემდგომში საარჩევნო სისტემის არჩევას და მეორეს მხრივ არსებული პოლიტიკურ ძალთა გადანაწილება ქვეყნის მმართველობაში ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია საარჩევნო სისტემის არჩევის რეფორმირების დროს.

Absract

The topic of my master thesis is the electoral reforms in Post-Communist countries. In this research I examine Bulgarian and Georgian electoral systems, trying to explain why these countries chose different electoral system after the communism. The main purpose of the work is to explain the reasons what factors led to the selection of different electoral systems during the reorganization of the first round (stage) electoral system implemented after the overthrow of communism in these countries.

The comparative analysis of these countries was discussed in the work because both countries are former communist, both of which used the same electoral Soviet system during the Soviet system, comprising both the Communist past, the reform of the basic or less fundamental electoral system implemented after the overthrow of communism In any case, in the 1990-92 period two independent elections were held.

The hypothesis put forward in the work is based on the theories of John Grumm and Josep Colomer, on the one hand that the party system determines the electoral system and on the other hand the distribution of political forces is one of the key factors in reforming the election system.